სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე 2018 წლის ქვეყნის შიდა კვოტის განსაზღვრის მიზანშეწონილობისა და კვოტის ოდენობის თაობაზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შექმნილი

საბჭოს 2018 წლის 27 აპრილის სხდომის

ოქმი №1

2018 წლის 27 აპრილს 13.00 საათზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიმართა საბჭოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) დავით სერგეენკო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) გიორგი გახარია - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, საბჭოს თანათავმჯდომარე;

გ) მაია ლაგვილავა - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

დ) ლევან კაკავა - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, საბჭოს წევრი;

ე) ნანა შაშიაშვილი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

ვ) ლალი დავითაია - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

ზ) რამაზ შონია - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

თ) **ოლიკო ქარსალაძე** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს ნარკოტიკული საშუალებების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ბუნებრივი წარმოშობის ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილების უფროსის მოადგილე - გამომძიებელი, საბჭოს წევრი;

ი) **სერგო ძაგნიძე** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;

კ) **მაია იასეშვილი** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტიზის სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის განყოფილების უფროსის მოადგილე - ნარკოტიკული საშუალებებისა და ფარმპრეპარატების ექსპერტიზის ქვეგანყოფილების უფროსი (მთავარი ექსპერტი), საბჭოს წევრი;

ლ) **ეკატერინე წულაია** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ნარკოლოგიური შემოწმების სამსახურის უფროსი, საბჭოს წევრი;

მ) **მარიამ მეგრელიშვილი** (ეკა ცანკაშვილის შემცვლელი) - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სამმართველოს ევროინტეგრაციის განყოფილების უფროსი, საბჭოს წევრი;

ნ) **მარინა დარახველიძე** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

ო) **ნათია ნოღაიდელი** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

პ) **მარინე ლაცაბიძე** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, საბჭოს წევრი;

ჟ) **კახაბერ ჩხარტიშვილი** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს წევრი;

რ) **ირინე გობეჯიშვილი** - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების

დეპარტამენტის მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, საბჭოს წევრი;

დღის წესრიგი

1. მისალმება და სხდომის გახსნა:

დავით სერგეენკო - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი გახარია - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, საბჭოს თანათავმჯდომარე.

2. **მოხსენება** 2018 წლის ქვეყნის შიდა კვოტის განსაზღვრის მიზანშეწონილობისა და კვოტის ოდენობებთან დაკავშირებით იმ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს ან სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე (მინისტრი დავით სერგეენკო);

3. განსაზღვრული კვოტის ფარგლებში სამკურნალო საშუალებების იმპორტის მსურველთა შერჩევის სარეკომენდაციო კრიტერიუმების გაცნობა საბჭოს წევრებისათვის (მინისტრი დავით სერგეენკო);

4. საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღება (კენჭისყრის საფუძველზე) და საბჭოს გადაწყვეტილების დადასტურება თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის მიერ ქვეყნის 2018 წლის შიდა კვოტის დადგენის შესახებ.

5. **სხდომის** დახურვა.

1. **საბჭოს სხდომის** გახსნა
სხდომა გახსნა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, საბჭოს თავმჯდომარემ - **დავით სერგეენკომ.** იგი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

2. **სამკურნალო საშუალებებზე: გაბაპენტინზე, ბაკლოფენზე, ზალეპლონზე, ზოპიკლონზე, ტროპიკამიდსა და დექსტრომეტორფანზე 2018 წლის ქვეყნის შიდა კვოტის ოდენობებთან დაკავშირებით საბჭოს წევრებისათვის ინფორმაციის მიწოდება**

საბჭოს თავმჯდომარემ, **დავით სერგეენკომ** აღნიშნა, რომ 2016 წელს შეიქმნა ორი მინისტრის სათათბირო ორგანო - საბჭო, რომელმაც საკუთარი უფლებამოსილებიდან და ე.წ. ,,სააფთიაქო ნარკომანიის" წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების აქტუალობიდან გამომდინარე, 2017 წელს პირველად განიხილა კვოტების განსაზღვრის საკითხი 6 ნივთიერებაზე, კერძოდ, გაბაპენტინზე, ბაკლოფენზე, ზოპიკლონზე, ზალეპლონზე, ტროპიკამიდსა და დექსტრომეტორფანზე. აღსანიშნავია, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ე.წ. „სააფთიაქო ნარკომანიის" პრევენციის მიმართულებით.

მიმდინარე წელს კვლავ უნდა განისაზღვოს ქვეყნის ,,შიდა კვოტა". აღნიშნულთან დაკავშირებით, **დავით სერგეენკომ** საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია 2018 წლის 4 აპრილს გამართული საბჭოსწინა სამუშაო შეხვედრის შესახებ, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს შინაგან საქმეთა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეებმა, კერძოდ: შეხვედრაზე განხილული იქნა 2017 წელს ქვეყნის „შიდა კვოტით" განხორციელებული 6 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტის იმპორტთან, ხარჯვასა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ მარაგებთან (ნაშთებთან) დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, ასევე, ინფორმაცია ავტორიზებულ აფთიაქში ურეცეპტოდ გაცემული და ჩამორთმეული ფარმაცევტული პროდუქტების ოდენობების შესახებ (აღნიშნული ინფორმაცია დაგზავნილი აქვს საბჭოს ყველა წევრს).

სამუშაო შეხვედრის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მიზანშეწონილია ქვეყნის შიდა კვოტა 2018 წელს გამოცხადდეს იგივე 6 დასახელების ფარმაცევტულ პროდუქტზე (გაბაპენტინზე, ბაკლოფენზე, ზოპიკლონზე, ზალეპლონზე, ტროპიკამიდსა და დექსტრომეტორფანზე).
ამასთან, კვოტის ოდენობების გაანგარიშებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მონაცემები ინსპექტირების დროს გამოვლენილი ურეცეპტოდ გაცემული და ჩამორთმეული ფარმაცევტული პროდუქტების თაობაზე. კერძოდ, 2018 წლის კვოტის გაანგარიშებისას **2017 წლის კვოტას გამოაკლდეს** 2017 წელს ინსპექტირების შედეგად ჩამორთმეული და ურეცეპტოდ გაცემული **ოდენობების ნახევარი** (ვინაიდან ურეცეპტოდ ფარმაცევტული პროდუქტი გაიცემა, სამწუხაროდ, ფიქსირდება არა მხოლოდ ავადმოხმარების, არამედ პაციენტების რეალური საჭიროებებისათვისაც).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **მინისტრმა დავით სერგეენკომ** 2018 წლის შიდა კვოტების თაობაზე კენჭისყრაზე დააყენა შემდეგი საკითხები:

1. 2018 წელს ქვეყნის შიდა კვოტა, 2017 წლის მსგავსად, გამოცხადდეს კვლავ 6 დასახელების ფარმაცევტულ პროდუქტზე: გაბაპენტინზე, ბაკლოფენზე, ზოპიკლონზე, ზალეპლონზე, ტროპიკამიდსა და დექსტრომეტორფანზე.
2. კვოტის გაანგარიშებისას გათვალისწინებული იქნეს მონაცემები სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ ინსპექტირების დროს გამოვლენილი ურეცეპტოდ გაცემული და ჩამორთმეული ფარმაცევტული პროდუქტების თაობაზე. კერძოდ, 2018 წლის კვოტის გაანგარიშებისას ცალკეულ ნივნიერებებზე **2017 წლის კვოტას გამოაკლდეს** 2017 წელს ინსპექტირების შედეგად ჩამორთმეული და ურეცეპტოდ გაცემული შესაბამისი ნივთიერებების **ოდენობების ნახევარი** (ვინაიდან ურეცეპტოდ ფარმაცევტული პროდუქტი გაცემა, სამწუხაროდ, ფიქსირდება არა მხოლოდ ავადმოხმარების, არამედ პაციენტების რეალური საჭიროებებისათვისაც):

2017 წელს	2017 წელს სულ ურეცეპტოდ და ჩამორთმეული ოდენობა გრამში	**2017 წელს სულ ურეცეპტოდ და ჩამორთმეული ოდენობის ნახევარი გრამში**	**2017 წლის "შიდა კვოტა გრამში**	**2018 წლის "შიდა კვოტა"**
ბაკლოფენი	**24511.7**	12255.85	68765	**56509.15**
გაბაპენტინი	522244.1	261122.05	1029380	**768257.95**
ზოპიკლონი	709.39	354.695	3000	**2645.305**
ზალეპლონი	113.09	56.545	1050	**993.455**
დექსტრომეტორფანის შემცვ. კომბ. პრეპარატები	344	172	3000	**2828**
ტროპიკამიდი		0	300	**300**

3. ამავდროულად, აღნიშნულ 6 ფარმაცევტულ პროდუქტზე იმპორტის გამოცხადებისას, 2018 წლის კვოტას გამოაკლდეს კვოტების გამოცხადების მომენტისათვის 2018 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ქვეყანაში არსებული ნაშთები;
4. იმპორტირების მსურველთა შერჩევის კრიტერიუმები და მათზე კვოტების სამართლიანად გადანაწილების პრინციპები დარჩეს იგივე (აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2017 წლის 12 აპრილის სხდომაზე).

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი შემოთავაზებულ რეკომენდაციებს.

შეთანხმდნენ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს 2018 წლის ქვეყნის შიდა კვოტების განსაზღვრა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ შემდეგ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს და სპეციალურ კონტროლს

დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ შემდეგ სამკურნალო საშუალებებზე:

ა) ზალეპლონი;

ბ) ზოპიკლონი;

გ) ბაკლოფენი;

დ) გაბაპენტინი;

ე) ტროპიკამიდი;

ვ) დექსტრომეტორფანი;

2. ქვეყნის შიდა კვოტები 2018 წლისათვის განისაზღვროს შემდეგი ოდენობებით:

ა) ზალეპლონისათვის – 993.455 გრამი;

ბ) ზოპიკლონისათვის – 2645.305 გრამი;

გ) ბაკლოფენისათვის – 56509.15 გრამი;

დ) გაბაპენტინისათვის – 768257.95 გრამი;

ე) ტროპიკამიდისათვის – 300 გრამი;

ვ) დექსტრომეტორფანისათვის – 2828 გრამი.

3. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტით დადგენილ ვადებში, იმპორტი გამოცხადდეს 2018 წლის მთლიან წლიურ შიდა კვოტაზე, ამასთან, იმპორტის გამოცხადებისას გათვალისწინებულ იქნას 1 აპრილისთვის ქვეყანაში არსებული ნაშთები/მარაგები.

4. იმპორტირების მსურველთა შერჩევის კრიტერიუმები და მათზე კვოტების სამართლიანად გადანაწილების პრინციპები დარჩეს იგივე (აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იქნა 2017 წლის 12 აპრილის სხდომაზე).

დასასრულს: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, საბჭოს თავმჯდომარემ - დავით სერგეენკომ და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, საბჭოს თანათავმჯდომარემ, გიორგი გახარიამ ხელი მოაწერეს საბჭოს გადაწყვეტილებას და საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საბჭოს მდივანი
მარინე ლაცაბიძე

„სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ცალკეულ ნივთიერებებზე, რომლებიც არ ექვემდებარება საერთაშორისო კონტროლს და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებულ ცალკეულ სამკურნალო საშუალებებზე ქვეყნის შიდა კვოტის განსაზღვრის მიზანშეწონილობისა და კვოტის ოდენობის თაობაზე წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით“ შექმნილი საბჭოს

2018 წლის 27 აპრილის №1 საბჭოს მიერ მიღებულ იქნას შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. 2018 წლის ქვეყნის შიდა კვოტა დადგინდეს გაბაპენტინს, ბაკლოფენს, ზოპიკლონს, ზალეპლონს, ტროპიკამიდსა და დექსტრომეტორფანზე;

2. 2018 წლის შიდა კვოტა განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:
ზალეპლონისთვის - 993.455 გრამი
ზოპიკლონისთვის - 2645.305 გრამი
ბაკლოფენისთვის - 56509.15 გრამი
გაბაპენტინისთვის - 768257.95 გრამი
ტროპიკამიდისთვის - 300 გრამი
დექსტრომეტორფანისთვის - 2828 გრამი;

3. 2018 წელს, კანონით დადგენილ ვადებში, იმპორტი გამოცხადდეს მთლიან წლიურ შიდა კვოტაზე, ამასთან, იმპორტის გამოცხადებისას გათვალისწინებულ იქნას 2018 წლის 1 აპრილის მდგომარეობით ქვეყანაში არსებული ნაშთები/მარაგები;

4. იმპორტირების მსურველთა შერჩევის კრიტერიუმებთან და კვოტების სამართლიანად გადანაწილებასთან დაკავშირებით, ძალაში დარჩეს 2017 წლის 12 აპრილის №1 საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება წარდგენილი რეკომენდაციების მოწონების თაობაზე.

საბჭოს თავმჯდომარე	საბჭოს თანათავმჯდომარე
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი
დავით სერგეენკო	გიორგი გახარია